



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №37

28 ივნისი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო
საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის
ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის
უფლებამოსილების ვადის გაგრძელების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29 მუხლის მეორე პუნქტის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №06 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელ დროებით სამუშაო ჯგუფს, გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 1 (ერთი) თვით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლამიძე